შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება

N 7
27/03/2020

7-08-4-202003271721

შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოხელეთა 2020 წლის სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის, მასში ჩართული უწყებების უფლებამოსილებებისა და ამ სისტემის ფუნქციონირების პრინციპებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისის №319 დადგენილების მე-8 მუხლის საფუძველზე:

1. დამტკიცდეს შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოხელეთა 2020 წლის სასწავლო გეგმა თანდართული დანართის მიხედვით.

2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება დაინტერესებული მხარისათვის გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი დავითაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა

შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების

2020 წლის სასწავლო გეგმა

სასწავლო პროგრამის დასახელება	საბაზისო/ დამატებითი პროგრამა	დეტალური აღწერა /სასურველი თემები	პროფესიული სწავლების ფორმა	მონაწილე თანამშრომელის სახელი, გვარი	მონაწილე თანამშრომელთა რაოდენობა	ვადა
ადამიანური რესურსების მართვა	დამატებითი	ა) თანამშრომელთა შეფასება: შეფასების მეთოდები, პროცედურები, მასთან დაკავშირებული სამართლებრივი შედეგების განსაზღვრა. ბ) კლასის მინიჭება; გ) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრება, დისციპლინური წარმოების პრინციპები და განხორციელების წესები დ) საკადრო საქმისწარმოების პროცესის დაგეგმვა და მართვა	ტრენინგი	ზორბეგ ქარცივაძე დავით ხიმშიაშვილი ეთერი დიასამიძე	3	27/03/2020 31/12/2020
საქმის წარმოება და საორგანიზაციო საკითხები	დამატებითი	ა)ორგანოზაციული საკითხები. ბ)პეტიციის ადმინისტრირება გ)საკრებულოს სხდომებზე მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები გ)მოქალაქეთა ინფორმირებულობა და ინფორმირების ინსტრუმენტები. დ)სოციალური ქსელის ადმინსტრირება	ტრენინგი	ლია დავითაძე ილია დავითაძე ზაურ მოსიძე	3	27/03/2020 31/12/2020